ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 12

განმარტებითი შენიშვნები სხვა საწარმოებში მონაწილეობის შესახებ

მიზანი

1. **წინამდებარე ფასს სტანდარტის მიზანია, დაავალდებულოს საწარმო, რომ განმარტებით შენიშვნებში გაამჟღავნოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც მისი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს საშუალებას მისცემს, შეაფასოს:**

   ა) სხვა საწარმოებში მისი მონაწილეობის ხასიათი და მასთან დაკავშირებული რისკები; და

   ბ) ამგვარი მონაწილეობის გავლენა საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე.

მიზნის მიღწევა

2. 1-ელ პუნქტში განსაზღვრული მიზნის მისაღწევად, საწარმომ უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია:

   ა) მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებისა და დაშვებების შესახებ, რომელთა საფუძველზეც დაადგინა:

      (i) თავისი მონაწილეობის ხასიათი სხვა საწარმოსა თუ საქმიანობაში;

      (ii) ერთობლივი საქმიანობის ტიპი, რომელშიც მონაწილეობს (პუნქტები 7-9);

      (iii) რომ ის აკმაყოფილებს საინვესტიციო საწარმოს განმარტებას, თუ ასეა (იხ. 9ა პუნქტი); და

   ბ) მისი მონაწილეობის შესახებ:

      (i) შვილობილ საწარმოებში (პუნქტები 10-19);

      (ii) ერთობლივ საქმიანობებსა და მეკავშირე საწარმოებში (პუნქტები 20-23); და

      (iii) *სტრუქტურიზებულ საწარმოებში*, რომლებსაც არ აკონტროლებს საწარმო (სტრუქტურიზებული საწარმოები, რომლებიც კონსოლიდირებული არ არის) (პუნქტები 24-31).

3. თუ წინამდებარე ფასს სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმაცია, სხვა ფასს სტანდარტებით მოთხოვნილ განმარტებით ინფორმაციასთან ერთად, არ აკმაყოფილებს 1-ელ პუნქტში ჩამოყალიბებულ მიზანს, საწარმომ უნდა წარმოადგინოს ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად.

4. საწარმომ უნდა განიხილოს ინფორმაციის დეტალიზების დონე, რაც აუცილებელია ინფორმაციის გამჟღავნების მიზნის მისაღწევად და რამდენად ყურადღება უნდა დაუთმოს წინამდებარე სტანდარტის თითოეულ მოთხოვნას. საწარმომ იმგვარად უნდა მოახდინოს ინფორმაციის აგრეგირება, ან დეზაგრეგირება, რომ სასარგებლო ინფორმაცია ბუნდოვანი არ გახადოს დიდი მოცულობის უმნიშვნელო დეტალების ჩართვამ, ან განსხვავებული მახასიათებლების მქონე მუხლების აგრეგირებამ (იხ. პუნქტები ბ2-ბ6).

მოქმედების სფერო

5. წინამდებარე სტანდარტი უნდა გამოიყენოს საწარმომ, რომელსაც გააჩნია მონაწილეობის წილი:

   ა) შვილობილ საწარმოებში;

   ბ) ერთობლივ საქმიანობაში (ე.ი. ერთობლივ ოპერაციებში ან ერთობლივ საწარმოებში);

   გ) მეკავშირე საწარმოებში;

   დ) არაკონსოლიდირებულ სტრუქტურიზებულ საწარმოებში.

5ა. B17 პუნქტში აღწერილი შემთხვევების გარდა, საწარმომ წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნები უნდა გამოიყენოს მე-5 პუნქტში ჩამოთვლილ, საწარმოს იმ წილებთან მიმართებით, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად გამიზნული, ან როგორც მესაკუთრეებზე გასანაწილებლად გამიზნული (ან ჩართულია გამსვლელ ჯგუფში, რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად გამიზნული, ან როგორც მესაკუთრეებზე გასანაწილებლად გამიზნული) ფასს 5-ის - *„გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“ - შესაბამისად.*

6. მოცემული სტანდარტი არ გამოიყენება:

ა) შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამების, ან დასაქმებულთა სხვა გრძელვადიან გასამრჯელოებთან მიმართებით, რომლებსაც არეგულირებს ბასს 19 – „*დასაქმებულთა გასამრჯელოები*“;

ბ) საწარმოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებით, რომელსაც ეხება ბასს 27 – „*ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება*“. თუმცა:

(i) თუ საწარმოს გააჩნია მონაწილეობის წილი არაკონსოლიდირებულ სტრუქტურიზებულ საწარმოებში და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს, როგორც თავის ერთადერთ ფინანსურ ანგარიშგებას, მან ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას უნდა გამოიყენოს 24-31-ე პუნქტების მოთხოვნები;

(ii) საინვესტიციო საწარმომ, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას, რომელშიც ფასს 10-ის 31-ე პუნქტის შესაბამისად ყველა შვილობილი საწარმო შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, უნდა გაამჟღავნოს ყველანაირი ინფორმაცია, რომელიც წინამდებარე სტანდარტით მოითხოვება საინვესტიციო საწარმოების შესახებ.

გ) ისეთ ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობასთან მიმართებით, რომელშიც საწარმო მონაწილეობს, მაგრამ არ გააჩნია ერთობლივი კონტროლი მასზე, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც რომელიმე საქმიანობაში მონაწილეობა მნიშვნელოვან გავლენას წარმოშობს ამ საქმიანობაზე, ან წარმოადგენს მონაწილეობას სტრუქტურიზებულ საწარმოში;

დ) სხვა საწარმოში მონაწილეობის წილთან მიმართებით, რომელიც აისახება ფასს 9-ის – „*ფინანსური ინსტრუმენტები*“ – შესაბამისად. თუმცა, საწარმომ წინამდებარე სტანდარტი უნდა გამოიყენოს იმ შემთხვევაში, როდესაც:

(i) მონაწილეობა წარმოადგენს მეკავშირე, ან ერთობლივ საწარმოში მონაწილეობას, რომელიც ბასს 28-ის – „*ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში*“ – შესაბამისად ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით; ან

(ii) მონაწილეობა წარმოადგენს არაკონსოლიდირებულ სტრუქტურიზებულ საწარმოში მონაწილეობას.

მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და დაშვებები

7. **საწარმომ უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებისა და გამოყენებული დაშვებების (და ასევე ამ გადაწყვეტილებებსა და დაშვებებში შეტანილი ცვლილებების) შესახებ, რომელთა საფუძველზე დაადგინა:**

ა) რომ კონტროლი გააჩნია სხვა საწარმოზე, ე.ი. ინვესტირებულ საწარმოზე, ფასს 10-ის – „*კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება*“ – მე-5 და მე-6 პუნქტებში მოცემული აღწერილობის შესაბამისად;

ბ) რომ გააჩნია ერთობლივი კონტროლი საქმიანობაზე, ან მნიშვნელოვანი გავლენა სხვა საწარმოზე; და

გ) ერთობლივი საქმიანობის ტიპი (ე.ი. ერთობლივი ოპერაცია ან ერთობლივი საწარმო), როდესაც საქმიანობა ორგანიზებული იყო განცალკევებული სუბიექტის მეშვეობით.

 © IFRS Foundation

8. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებისა და დაშვებების შესახებ მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მოიცავს იმ გადაწყვეტილებებსა და დაშვებებსაც, რომლებიც საწარმომ მიიღო და გამოიყენა, როდესაც ფაქტები და გარემოებები იმგვარად შეიცვალა, რომ შეიცვალა საწარმოს დასკვნაც იმის თაობაზე, აქვს თუ არა მას კონტროლი, ერთობლივი კონტროლი, ან მნიშ-ვნელოვანი გავლენა საანგარიშგებო პერიოდში.

9. იმისათვის, რომ შეასრულოს მე-7 პუნქტის მოთხოვნები, საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია, მაგალითად იმ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებისა და დაშვებების შესახებ, რომელთა საფუძველზეც დაადგინა, რომ:

   ა) ის არ აკონტროლებს სხვა საწარმოს, მიუხედავად იმისა, რომ ფლობს მისი ხმის უფლებების ნახევარზე მეტს;

   ბ) ის აკონტროლებს სხვა საწარმოს, მიუხედავად იმისა, რომ ფლობს მისი ხმის უფლებების ნახევარზე ნაკლებს;

   გ) ის არის რწმუნებული, ან მარწმუნებელი (იხ. ფასს 10-ის ბ58-ბ72 პუნქტები);

   დ) მას არ გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა სხვა საწარმოზე, მიუხედავად იმისა, რომ ფლობს მისი ხმის უფლებების 20%-ს, ან მეტს;

   ე) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა სხვა საწარმოზე, მიუხედავად იმისა, რომ ფლობს მისი ხმის უფლებების 20%-ზე ნაკლებს.

საინვესტიციო საწარმოს სტატუსი

9ა. თუ მშობელი საწარმო დაადგენს, რომ ის არის საინვესტიციო საწარმო ფასს 10-ის 27-ე პუნქტში მოცემული განმარტების შესაბამისად, საინვესტიციო საწარმომ განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია იმ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებისა და დაშვებების შესახებ, რომელთა საფუძველზეც დაადგინა, რომ ის არის საინვესტიციო საწარმო. თუ საინვესტიციო საწარმოს არ გააჩნია საინვესტიციო საწარმოს განმარტებაში მოცემული ტიპური მახასი-ათებლებიდან ერთი ან რამდენიმე (იხ. ფასს 10-ის 28-ე პუნქტი), მაშინ მან უნდა წარმოადგინოს არგუმენტები, რომელთა საფუძველზეც დაასკვნა, რომ ის, ამის მიუხედავად, მაინც მიიჩნევა საინვესტიციო საწარმოდ.

9ბ. თუ საწარმო ხდება საინვესტიციო საწარმო, ან პირიქით, აღარ აკმაყოფილებს საინვესტიციო საწარმოს განმარტებას, მან განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია საინვესტიციო საწარმოს საკლასიფიკაციო სტატუსის შეცვლის შესახებ და განმარტოს ამ ცვლილების გამომწვევი მიზეზები. გარდა ამისა, საწარმომ, რომელიც ხდება საინვესტიციო საწარმო, უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია იმის შესახებ, რა გავლენას ახდენს მისი საკლა-სიფიკაციო სტატუსის შეცვლა წარდგენილი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე, მათ შორის:

   ა) სტატუსის შეცვლის თარიღისთვის განსაზღვრული სამართლიანი ღირებულებების მთლიანი თანხა იმ შვილობილი საწარმოებისა, რომელთა კონსოლიდირებაც შეწყდა;

   ბ) ფასს 10-ის ბ101 პუნქტის შესაბამისად გამოთვლილი შემოსულობის ან ზარალის (თუ არსებობს) მთლიანი თანხა;

   გ) მოგების, ან ზარალის შემადგენელი მუხლ(ებ)ი, რომელშიც აისახა ეს შემოსულობა, ან ზარალი (თუ ეს თანხები ცალკე არ არის წარდგენილი).

მონაწილეობა შვილობილ საწარმოებში

10. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს საშუალებას მისცემს:

   ა) წარმოდგენა შეიქმნას:

      (i) ჯგუფის შედგენილობაზე; და

      (ii) იმ წილის შესახებ, რომელიც არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს გააჩნიათ ჯგუფის საქმიანობასა და ფულად ნაკადებში (მე-12 პუნქტი); და

ბ) შეაფასოს:

(i) იმ მნიშვნელოვანი შეზღუდვების ხასიათი და ხარისხი, რომლებიც საწარმოს უზღუდავს ჯგუფის აქტივების წვდომის ან გამოყენების და ჯგუფის ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობას (მე-13 პუნქტი);

(ii) იმ რისკების ხასიათი და ცვლილებები, რომლებიც დაკავშირებულია კონსოლიდირებულ სტრუქტურიზებულ საწარმოებში მის მონაწილეობასთან (პუნქტები 14-17);

(iii) შვილობილ საწარმოში მისი საკუთრების წილის დონეში მომხდარი ცვლილებების შედეგები, რაც არ იწვევს კონტროლის დაკარგვას (მე-18 პუნქტი); და

(iv) საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში შვილობილ საწარმოზე კონტროლის დაკარგვის შედეგები (მე-19 პუნქტი).

11. თუ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული შვილობილი საწარმოს ფინანსური ანგარიშგება ისეთი თარიღისთვის, ან პერიოდისთვის არის შედგენილი, რომელიც განსხვავდება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღის, ან პერიოდისგან (იხ. ფასს 10-ის ბ92 და ბ93 პუნქტები), საწარმომ უნდა წარმოადგინოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) ამ შვილობილი საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი; და

ბ) განსხვავებული თარიღის, ან პერიოდის გამოყენების მიზეზები.

არამაკონტროლებელი წილის მონაწილეობა ჯგუფის საქმიანობასა და ფულად აქტივებში

12. ანგარიშვალდებულმა საწარმომ თითოეული შვილობილი საწარმოსთვის, რომელსაც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის არსებითი არამაკონტროლებელი წილი გააჩნია, უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) შვილობილი საწარმოს სახელწოდება;

ბ) შვილობილი საწარმოს საქმიანობის ძირითადი ადგილი (ქვეყანა) (და ასევე ქვეყანა, სადაც რეგისტრირებულია, თუ განსხვავდება მისი საქმიანობის ძირითადი ადგილისგან;

გ) არამაკონტროლებელი წილის მფლობელთა საკუთრების ხვედრითი წილი;

დ) არამაკონტროლებელი წილის მიერ ფლობილი ხმის უფლებების ხვედრითი წილი, თუ განსხვავდება მათი საკუთრების ხვედრითი წილისგან;

ე) საანგარიშგებო პერიოდში შვილობილი საწარმოს არამაკონტროლებელ წილზე მიკუთვნებული მოგება ან ზარალი;

ვ) შვილობილი საწარმოს დაგროვილი არამაკონტროლებელი წილი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;

ზ) კრებსითი ფინანსური ინფორმაცია შვილობილი საწარმოს შესახებ (იხ. პუნქტი ბ10).

მნიშვნელოვანი შეზღუდვების ხასიათი და ხარისხი

13. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია:

ა) მნიშვნელოვანი შეზღუდვების შესახებ (მაგალითად, საკანონმდებლო, სახელშეკრულებო და მარეგულირებელი შეზღუდვები), რომლებიც საწარმოს უზღუდავს ჯგუფის აქტივების წვდომის ან გამოყენების და ჯგუფის ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობას, როგორიცაა, მაგალითად:

(i) რომლებიც ზღუდავს მშობელი საწარმოს, ან შვილობილი საწარმოს შესაძლებლობას, გადასცეს ფულადი სახსრები, ან სხვა აქტივები ჯგუფში შემავალ სხვა საწარმოებს;

 © IFRS Foundation

(ii) გარანტიები ან სხვა მოთხოვნები, რომლებიც შეიძლება ზღუდავდეს დივიდენდებისა და კაპიტალის სხვა სახის განაწილებების გაცემას ჯგუფში შემავალ სხვა საწარმოებზე (ან პირიქით), ან სესხებისა და ავანსების გაცემას ჯგუფში შემავალ სხვა საწარმოებზე (ან პირიქით).

ბ) არამაკონტროლებელი წილის დამცავი უფლებებით წარმოქმნილი შეზღუდვების ხასიათისა და ხარისხის შესახებ, რომლებსაც შეუძლია მნიშვნელოვნად შეუზღუდოს საწარმოს ჯგუფის აქტივების წვდომის ან გამოყენების და ჯგუფის ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობა (ასე, მაგალითად, როდესაც მშობელი საწარმო ვალდებულია, შვილობილი საწარმოს ვალდებულებები დაფაროს მანამ, სანამ საკუთარ ვალდებულებებს დაფარავს, ან, როდესაც აუცილებელია არამაკონტროლებელი წილის ნებართვა შვილობილი საწარმოს აქტივებზე წვდომის მოსაპოვებლად, ან შვილობილი საწარმოს ვალდებულებების დასაფარად);

გ) კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენები იმ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების შესახებ, რომლებსაც ეხება ეს შეზღუდვები.

კონსოლიდირებულ სტრუქტურიზებულ საწარმოებში მონაწილეობასთან დაკავშირებული რისკების ხასიათი

14. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია ნებისმიერი სახელშეკრულებო შეთანხმების პირობების შესახებ, რომლის თანახმად მშობელ, ან შვილობილ საწარმოს შეიძლება დაეკისროს ვალდებულება, ფინანსური დახმარება აღმოუჩინოს კონსოლიდირებულ სტრუქტურიზებულ საწარმოს, მათ შორის, ისეთი მოვლენების, ან გარემოებების შესახებ, რომლებსაც შეუძლია ანგარიშვალდებული საწარმოს ზარალის წარმოქმნა (მაგალითად, ლიკვიდურობის შეთანხმებები, ან საკრედიტო რეიტინგის ცვლილებასთან დაკავშირებული შემზღუდავი პირობები, რომლებიც დაკავშირებულია სტრუქტურიზებული საწარმოს აქტივების შესყიდვის ვალდებულებებთან, ან მისთვის ფინანსური დახმარების აღმოჩენასთან).

15. თუ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მშობელმა საწარმომ, ან რომელიმე მისმა შვილობილმა საწარმომ კონსოლიდირებულ სტრუქტურიზებულ საწარმოს აღმოუჩინა ფინანსური ან სხვა სახის დახმარება, როდესაც არ ჰქონდათ ამგვარი ქმედების სახელშეკრულებო ვალდებულება (მაგალითად, შეიძინეს სტრუქტურიზებული საწარმოების აქტივები, ან მის მიერ გამოშვებული ფინანსურ ინსტრუმენტები), საწარმომ უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის ინფორმაცია:

ა) აღმოჩენილი დახმარების ფორმა და თანხა, მათ შორის ისეთი სიტუაციების აღწერა, როდესაც მშობელი საწარმო, ან მისი შვილობილი საწარმოები სტრუქტურიზებულ საწარმოს დაეხმარნენ ფინანსური მხარდაჭერის მიღებაში; და

ბ) დახმარების აღმოჩენის მიზეზები.

16. თუ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მშობელი საწარმო, ან რომელიმე მისი შვილობილი საწარმო სტრუქტურიზებულ საწარმოს, რომელიც წინათ არ კონსლოდირდებოდა, აღმოუჩენს ფინანსურ, ან სხვა სახის დახმარებას, როდესაც არ გააჩნიათ ამგვარი ქმედების სახელშეკრულებო ვალდებულება და დახმარების აღმოჩენის შედეგად ეს საწარმო მოიპოვებს კონტროლს სტრუქტურიზებულ საწარმოზე, საწარმომ უნდა ახსნას რელევანტური ფაქტორები, რომლებიც გაითვალისწინა დახმარების აღმოჩენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

17. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია ნებისმიერი მიმდინარე განზრახვის შესახებ, რომელიც ეხება კონსოლიდირებული სტრუქტურიზებული საწარმოსთვის ფინანსური, ან სხვა სახის დახმარების აღმოჩენას, მათ შორის განზრახვა იმის შესახებ, რომ დაეხმაროს სტრუქტურიზებულ საწარმოს ფინანსური დახმარების მიღებაში.

შვილობილ საწარმოში მშობელი საწარმოს მიერ ფლობილ საკუთრების წილის დონეში მომხდარი ცვლილების შედეგები, რაც არ იწვევს კონტროლის დაკარგვას

18. საწარმომ უნდა წარმოადგინოს დანართი, საიდანაც გამოჩნდება, რა გავლენა იქონია მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნებელ საკუთარ კაპიტალზე შვილობილ საწარმოში მშობელი

საწარმოს მიერ ფლობილ საკუთრების წილის დონეში მომხდარმა ისეთმა ცვლილებებმა, რაც არ იწვევს კონტროლის დაკარგვას.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში შვილობილ საწარმოზე კონტროლის დაკარგვის შედეგები

19. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია ფასს 10-ის 25-ე პუნქტის შესაბამისად გამოთვლილი შემოსულობის, ან ზარალის შესახებ (თუ არსებობს) და:

ა) ამ შემოსულობის, ან ზარალის ის ნაწილი, რომელიც მისაკუთვნებელია ყოფილ შვილობილ საწარმოში დარჩენილი ინვესტიციის შეფასებაზე და აისახება კონტროლის დაკარგვის თარიღისთვის განსაზღვრული სამართლიანი ღირებულებით; და

ბ) მოგების, ან ზარალის შემადგენელი ის მუხლ(ებ)ი, რომელშიც აისახა ეს შემოსულობა, ან ზარალი (თუ ეს თანხები ცალკე არ არის წარდგენილი).

მონაწილეობა არაკონსოლიდირებულ შვილობილ საწარმოებში (საინვესტიციო საწარმოები)

19ა. საინვესტიციო საწარმომ, რომელიც ფასს 10-ის შესაბამისად ვალდებულია, გამოიყენოს კონსოლიდაციიდან განთავისუფლების უფლება და ამის ნაცვლად შვილობილ საწარმოში ფლობილი ინვესტიცია აღრიცხოს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, განმარტებით შენიშვნებში უნდა განაცხადოს ამის შესახებ.

19ბ. საინვესტიციო საწარმომ, თითოეული არაკონსოლიდირებული შვილობილი საწარმოს შესახებ, უნდა წარმოადგინოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) შვილობილი საწარმოს სახელწოდება;

ბ) შვილობილი საწარმოს საქმიანობის ძირითადი ადგილი (ქვეყანა) (და ასევე ქვეყანა, სადაც რეგისტრირებულია, თუ განსხვავდება მისი საქმიანობის ძირითადი ადგილისგან); და

გ) საკუთრების ხვედრითი წილი, რომელიც საინვესტიციო საწარმოს გააჩნია შვილობილ საწარმოში და, თუ განსხვავებულია, წილი მესაკუთრეთა ხმის უფლებებში.

19გ. თუ საინვესტიციო საწარმო არის სხვა საინვესტიციო საწარმოს მშობელი საწარმო, მშობელმა საწარმომ ასევე უნდა წარმოადგინოს 19ბ(ა)-(გ) პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია იმ ინვესტიციების შესახებ, რომლებსაც აკონტროლებს მისი შვილობილი საინვესტიციო საწარმო. ამ ინფორმაციის წარმოდგენა შესაძლებელია მშობელი საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში, შვილობილი საწარმოს (ან შვილობილი საწარმოების) ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელიც შეიცავს ზემოაღნიშნულ ინფორმაციას.

19დ. საინვესტიციო საწარმომ უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) არაკონსოლიდირებული შვილობილი საწარმოს შესაძლებლობების მნიშვნელოვანი შეზღუდვების (მაგალითად, რომელიც გამოწვეულია სასესხო შეთანხმებებით, მარეგულირებელი მოთხოვნებით, ან სახელშეკრულებო შეთანხმებებით) ხასიათი და ხარისხი, გადასცეს ფულადი სახსრები საინვესტიციო საწარმოს ფულადი დივიდენდების სახით, ან საინვესტიციო საწარმოს დაუბრუნოს სესხი, ან გადაუხადოს საავანსო თანხები; და

ბ) ნებისმიერი მიმდინარე ვალდებულებები ან განზრახვა, რომელიც ეხება არაკონსოლიდირებული შვილობილი საწარმოსთვის ფინანსური ან სხვა სახის დახმარების აღმოჩენას, მათ შორის ვალდებულებები ან განზრახვა, რომელიც ეხება შვილობილი საწარმოსთვის დახმარების აღმოჩენას ფინანსური დახმარების მიღებაში.

19ე. თუ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საინვესტიციო საწარმო, ან მისი შვილობილი საწარმოები არაკონსოლიდირებულ შვილობილ საწარმოს აღმოუჩენენ ფინანსურ, ან სხვა სახის დახმარებას (მაგალითად, იყიდიან შვილობილი საწარმოს აქტივებს, ან მის მიერ გამოშვებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს, ან შვილობილ საწარმოს დაეხმარებიან ფინანსური დახმარების მიღებაში), როდესაც არ გააჩნიათ ამგვარი ქმედების სახელშეკრულებო ვალდებულება, საინვესტიციო საწარმომ უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

 © IFRS Foundation

ა) თითოეული არაკონსოლიდირებული შვილობილი საწარმოსთვის გაწეული დახმარების ფორმა და თანხა; და

ბ) დახმარების აღმოჩენის მიზეზები.

19ვ. საინვესტიციო საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია ისეთი სახელშეკრულებო შეთანხმებების პირობების შესახებ, რომლის თანახმად საწარმოს, ან მის არაკონსოლიდირებულ შვილობილ საწარმოებს შეიძლება დაეკისროს ვალდებულება, ფინანსური დახმარება აღმოუჩინოს არაკონსოლიდირებულ კონტროლირებულ სტრუქტურიზებულ საწარმოს, მათ შორის ისეთი მოვლენების, ან გარემოებების შესახებ, რომლებსაც შეუძლია ანგარიშვალდებული საწარმოს ზარალის წარმოქმნა (მაგალითად, ლიკვიდურობის შეთანხმებები, ან საკრედიტო რეიტინგის ცვლილებასთან დაკავშირებული შემზღუდავი პირობები, რომლებიც ეხება სტრუქტურიზებული საწარმოს აქტივების შესყიდვის ვალდებულებებს, ან მისთვის ფინანსური დახმარების აღმოჩენას).

19ზ. თუ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საინვესტიციო საწარმო, ან რომელიმე მისი არაკონსოლიდირებული შვილობილი საწარმო ფინანსურ, ან სხვა სახის დახმარებას აღმოუჩენს არაკონსოლიდირებულ სტრუქტურიზებულ საწარმოს, რომელსაც არ აკონტროლებს საინვესტიციო საწარმო, როდესაც არ გააჩნიათ ამგვარი ქმედების სახელშეკრულებო ვალდებულება და დახმარების აღმოჩენის შედეგად საინვესტიციო საწარმო მოიპოვებს კონტროლს სტრუქტურიზებულ საწარმოზე, საინვესტიციო საწარმომ უნდა ახსნას რელევანტური ფაქტორები, რომლებიც გაითვალისწინა დახმარების აღმოჩენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

მონაწილეობა ერთობლივ საქმიანობასა და მეკავშირე საწარმოებში

20. **საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც მისი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, შეაფასონ:**

ა) ერთობლივ საქმიანობებსა და მეკავშირე საწარმოებში მისი მონაწილეობის ხასიათი, ხარისხი და ფინანსური ეფექტი, მათ შორის სხვა ინვესტორებთან მისი სახელშეკრულებო ურთიერთობის ხასიათი და ეფექტი, ვისთან ერთადაც გააჩნია ერთობლივი კონტროლი, ან მნიშვნელოვანი გავლენა ერთობლივ საქმიანობასა და მეკავშირე საწარმოებზე (იხ. 21-ე და 22-ე პუნქტები); და

ბ) ერთობლივ საწარმოებსა და მეკავშირე საწარმოებში მონაწილეობასთან დაკავშირებული რისკების ხასიათი და მათი ცვლილებები (23-ე პუნქტი).

ერთობლივ საქმიანობასა და მეკავშირე საწარმოებში საწარმოს მონაწილეობის ხასიათი, ხარისხი და ფინანსური შედეგები

21. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) თითოეული ერთობლივი საქმიანობისა და მეკავშირე საწარმოსთვის, რომელიც არსებითია ანგარიშვალდებული საწარმოსთვის:

(i) ერთობლივი საქმიანობის, ან მეკავშირე საწარმოს სახელწოდება;

(ii) საწარმოს ურთიერთობის ხასიათი ერთობლივ საქმიანობასთან, ან მეკავშირე საწარმოსთან (მაგალითად, აღწეროს ერთობლივი საქმიანობის ფარგლებში განხორციელებული მოქმედებები, ან მეკავშირე საწარმოს საქმიანობა და არის თუ არა ისინი საწარმოს საქმიანობისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის);

(iii) თითოეული ერთობლივი საქმიანობის, ან მეკავშირე საწარმოს საქმიანობის ძირითადი ადგილი (ქვეყანა) (და ასევე ქვეყანა, სადაც რეგისტრირებულია, თუ განსხვავდება საქმიანობის ძირითადი ადგილისგან);

(iv) საწარმოს საკუთრების ან მონაწილეობის ხვედრითი წილი, ხოლო თუ განსხვავებულია, წილი მესაკუთრეთა ხმის უფლებებში.

ბ) თითოეული ერთობლივი საწარმოსა და მეკავშირე საწარმოსთვის, რომელიც არსებითია ანგარიშვალდებული საწარმოსთვის:

(i) როგორ ხდება ერთობლივ საწარმოში, ან მეკავშირე საწარმოში განხორციელებული ინვესტიციის შეფასება: წილობრივი მეთოდით, თუ სამართლიანი ღირებულებით;

(ii) კრებსითი ფინანსური ინფორმაცია ერთობლივი საწარმოს, ან მეკავშირე საწარმოს შესახებ, როგორც აღწერილია ბ12 და ბ13 პუნქტებში;

(iii) თუ ერთობლივი საწარმო, ან მეკავშირე საწარმო აისახება წილობრივი მეთოდით – ერთობლივ საწარმოში, ან მეკავშირე საწარმოში ფლობილი ინვესტიციის სამართლიანი ღირებულება, თუ არსებობს ამ ინვესტიციის კოტირებული საბაზრო ფასი;

გ) ბ16 პუნქტში მითითებული ფინანსური ინფორმაცია, საწარმოს მიერ იმ ერთობლივ საწარმოებსა და მეკავშირე საწარმოებში ფლობილი ინვესტიციების შესახებ, რომლებიც ინდივიდუალურად არსებითი არ არის:

(i) აგრეგირებულად, ყველა ინდივიდუალურად არაარსებითი ერთობლივი საწარმოს მიხედვით და ასევე ცალ-ცალკე;

(ii) აგრეგირებულად, ყველა ინდივიდუალურად არაარსებითი მეკავშირე საწარმოს მიხედვით.

21ა. საინვესტიციო საწარმო ვალდებული არ არის, გაამჟღავნოს 21(ბ)-21(გ) პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია.

22. ზემოაღნიშნულის გარდა, საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ასევე შემდეგი ინფორმაცია:

ა) ერთობლივი საწარმოების, ან მეკავშირე საწარმოების შესაძლებლობების მნიშვნელოვანი შეზღუდვების (მაგალითად, რომელიც გამოწვეულია სასესხო შეთანხმებებით, მარეგულირებელი მოთხოვნებით, ან ერთობლივ საწარმოზე, ან მეკავშირე საწარმოზე ერთობლივი კონტროლის, ან მნიშვნელოვანი გავლენის მქონე ინვესტორებს შორის დადებული სახელშეკრულებო შეთანხმებებით) ხასიათი და ხარისხი, საწარმოს გადასცენ ფულადი სახსრები ფულადი დივიდენდების სახით, ან დაუბრუნონ სესხი, ან გადაუხადონ საავანსო თანხები;

ბ) თუ წილობრივი მეთოდით მომზადებული ერთობლივი საწარმოს, ან მეკავშირე საწარმოს ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ანგარიშვალდებული საწარმოსგან განსხვავებული თარიღით, ან პერიოდისთვის, მაშინ:

(i) ამ ერთობლივი საწარმოს, ან მეკავშირე საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი; და

(ii) განსხვავებული თარიღის, ან პერიოდის გამოყენების მიზეზები.

გ) წილი ერთობლივი, ან მეკავშირე საწარმოს ზარალში, რომელიც აღიარებული არ არის – როგორც საანგარიშგებო პერიოდის მიხედვით, ასევე მთლიანად, თუ საწარმომ შეწყვიტა ერთობლივი, ან მეკავშირე საწარმოს ზარალში თავისი კუთვნილი ნაწილის აღიარება, როდესაც დაიწყო წილობრივი მეთოდის გამოყენება.

ერთობლივ საწარმოებსა და მეკავშირე საწარმოებში საწარმოს მონაწილეობასთან დაკავშირებული რისკები

23. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) ერთობლივ საწარმოებთან დაკავშირებული ვალდებულებები – სხვა ვალდებულებების თანხისგან განცალკევებით, როგორც მითითებულია ბ18-ბ20 პუნქტებში;

ბ) თუ ზარალის წარმოქმნის ალბათობა უმნიშვნელო არ არის, პირობითი ვალდებულებები (ბასს 37-ის – „*ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები*“ – შესაბამისად), რომლებიც აღებული აქვს ერთობლივ, ან მეკავშირე საწარმოებში მონაწილეობასთან დაკავშირებით (მათ შორის, თავისი წილი პირობით ვალდებულებებში, რომლებიც ერთობლივ საწარმოებზე, ან მეკავშირე საწარმოებზე ერთობლივი კონტროლის უფლების, ან მნიშვნელოვანი გავლენის მქონე სხვა ინვესტორებთან ერთად აქვს აღებული) – სხვა პირობითი ვალდებულებების თანხისგან განცალკევებით.

 © IFRS Foundation

მონაწილეობა არაკონსოლიდირებულ სტრუქტურიზებულ საწარმოებში

24. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც მისი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს:

ა) წარმოდგენა შეიქმნან არაკონსოლიდირებულ სტრუქტურიზებულ საწარმოებში მისი მონაწილეობის ხასიათისა და ხარისხის შესახებ (იხ. პუნქტები 26-28); და

ბ) შეაფასონ არაკონსოლიდირებულ სტრუქტურიზებულ საწარმოებში მის მონაწილეობასთან დაკავშირებული რისკების ხასიათი და მათი ცვლილება (იხ. პუნქტები 29-31).

25. 24(ბ) პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია მოიცავს საწარმოს დაქვემდებარებას რისკზე, რომელიც წარმოიშვა არაკონსოლიდირებულ სტრუქტურიზებულ საწარმოებში მისი მონაწილეობიდან წინა პერიოდებში (მაგალითად, სტრუქტურიზებული საწარმოებისთვის სპონსორული დახმარების აღმოჩენა), თუნდაც საანგარიშგებო თარიღისთვის საწარმო აღარ იღებდეს არანაირ მონაწილეობას სტრუქტურიზებულ საწარმოში ხელშეკრულებით.

25ა. საინვესტიციო საწარმო ვალდებული არ არის, გაამჟღავნოს 24-ე პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია არაკონსოლიდირებულ სტრუქტურიზებულ საწარმოსთან მიმართებით, რომელსაც ის აკონტროლებს და რომლის შესახებაც წარმოადგენს 19ა-19ზ პუნქტებით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მონაწილეობის ხასიათი

26. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაცია არაკონსოლიდირებულ სტრუქტურიზებულ საწარმოებში მისი მონაწილეობის შესახებ, მათ შორის (თუმცა შეზღუდული არ არის მარტო ამ ინფორმაციით) სტრუქტურიზებული საწარმოს ხასიათის, მიზნის, სიდიდისა და საქმიანობის შესახებ და როგორ ფინანსდება სტრუქტურიზებული საწარმო.

27. თუ საწარმომ სპონსორობა გაუწია არაკონსოლიდირებულ სტრუქტურიზებულ საწარმოს, რომლის შესახებაც ის არ წარმოადგენს 29-ე პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას (მაგალითად, იმიტომ, რომ საანგარიშგებო თარიღისთვის მას არ გააჩნია ამ საწარმოში მონაწილეობის წილი), საწარმომ უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) როგორ განსაზღვრა მან, რომელ სტრუქტურიზებულ საწარმოს გაუწია სპონსორობა;

ბ) საანგარიშგებო პერიოდში *ამ სტრუქტურიზებული საწარმოებიდან მიღებული შემოსავალი*, მათ შორის ანგარიშგებაში წარდგენილი შემოსავლების სახეების აღწერა; და

გ) ამ სტრუქტურიზებული საწარმოებისთვის საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გადაცემული ყველა აქტივის საბალანსო ღირებულება (გადაცემის მომენტისთვის).

28. საწარმომ 27 (ბ) და (გ) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს ცხრილის სახით, თუ რომელიმე სხვა ფორმატი უფრო მისაღები არ არის და თავისი სპონსორული საქმიანობების კლასიფიცირება მოახდინოს სათანადო კატეგორიებად (იხ. პუნქტები ბ2-ბ6).

რისკების ხასიათი

29. თუ რომელიმე სხვა ფორმატი უფრო მისაღები არ არის, საწარმომ ცხრილური ფორმატით უნდა წარმოადგინოს შემდეგი კრებსითი ინფორმაცია:

ა) ფინანსურ ანგარიშგებაში არაკონსოლიდირებულ სტრუქტურიზებულ საწარმოებში თავის მონაწილეობასთან დაკავშირებით აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები;

ბ) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ის მუხლები, რომლებშიც აღიარებულია ზემოაღნიშნული აქტივები და ვალდებულებები;

გ) თანხა, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს საწარმოს მაქსიმალურ ზარალს, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას არაკონსოლიდირებულ სტრუქტურიზებულ საწარმოებში მისი მონაწილეობიდან, მათ შორის, როგორ განსაზღვრა მაქსიმალური ზარალის სიდიდე. თუ საწარმოს არ შეუძლია არაკონსოლიდირებულ სტრუქტურიზებულ საწარმოებში მის მონაწილეობასთან

დაკავშირებული მაქსიმალური ზარალის სიდიდის რაოდენობრივად გამოსახვა, მან უნდა დააფიქსიროს თვითონ ეს ფაქტი და ახსნას მიზეზები;

დ) არაკონსოლიდირებულ სტრუქტურიზებულ საწარმოებში საწარმოს მონაწილეობასთან დაკავშირებული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების შედარება საწარმოს მაქსიმალურ ზარალთან, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას ამ საწარმოებში მისი მონაწილეობიდან.

30. თუ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმომ არაკონსოლიდირებულ სტრუქტურიზებულ საწარმოს, რომელშიც მას წინათ გააჩნდა, ან მიმდინარე პერიოდში აქვს წილი, ფინანსური ან სხვა სახის დახმარება აღმოუჩინა, როდესაც არ ჰქონდა ამგვარი ქმედების სახელშეკრულებო ვალდებულება (მაგალითად, შეიძინა სტრუქტურიზებული საწარმოების აქტივები, ან მის მიერ გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები), საწარმომ უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) აღმოჩენილი დახმარების ფორმა და თანხა, მათ შორის, ისეთი სიტუაციების აღწერა, როდესაც საწარმო დაეხმარა სტრუქტურიზებულ საწარმოს ფინანსური მხარდაჭერის მიღებაში; და

ბ) დახმარების აღმოჩენის მიზეზები.

31. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია ნებისმიერი მიმდინარე განზრახვის შესახებ, რომელიც ეხება კონსოლიდირებული სტრუქტურიზებული საწარმოსთვის ფინანსური, ან სხვა სახის დახმარების აღმოჩენას, მათ შორის განზრახვას, ხელი შეუწყოს სტრუქტურიზებულ საწარმოს ფინანსური დახმარების მიღებაში.

 © IFRS Foundation

დანართი ა

ტერმინების განმარტება

ეს დანართი წინამდებარე ფასს სტანდარტის განუყოფელი ნაწილია.

შემოსავალი სტრუქტურიზებული საწარმოდან

წინამდებარე სტანდარტის მიზნებისთვის შემოსავალი **სტრუქტურიზებული საწარმოდან,** სხვასთან ერთად, მოიცავს მრავალჯერადი და ერთჯერადი ტიპის ჰონორარებს (საზღაურს), პროცენტებს, დივიდენდებს, სტრუქტურიზებულ საწარმოებში მონაწილეობის წილების გადაფასების ან აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილ შემოსულობას, ან ზარალს და ასევე სტრუქტურიზებული საწარმოსთვის აქტივებისა და ვალდებულებების გადაცემის შედეგად წარმოქმნილ შემოსულობას, ან ზარალს.

სხვა საწარმოში მონაწილეობა

წინამდებარე სტანდარტის მიზნებისთვის, სხვა საწარმოში მონაწილეობა გულისხმობს ნებისმიერი სახის მონაწილეობას, ხელშეკრულებით იქნება ეს გათვალისწინებული, თუ არა, რომელიც საწარმოს დაქვემდებარებულს ხდის სხვა საწარმოს საქმიანობიდან ცვალებადი ხასიათის შემოსავლების მიღების რისკზე. სხვა საწარმოში მონაწილეობა, სხვასთან ერთად, შეიძლება დადასტურდეს წილობრივი, ან სავალო ფინანსური ინსტრუმენტების ფლობით, ასევე სხვა ფორმის მონაწილეობით, როგორიცაა დაფინანსება, ლიკვიდურობის უზრუნველყოფაში დახმარება, საკრედიტო რეიტინგის ამაღლებაში დახმარება და გარანტიების გაცემა. იგი მოიცავს კონკრეტულ საშუალებებს, რომლის მეშვეობითაც საწარმო ახორციელებს კონტროლს, ან ერთობლივ კონტროლს, ან მნიშვნელოვან გავლენას სხვა საწარმოზე. მხოლოდ „მომხმარებელი-მომწოდებელი“ ტიპური ურთიერთობის არსებობა თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ საწარმო მონაწილეობს სხვა საწარმოში.

სხვა საწარმოებში მონაწილეობის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ბ7-ბ9 პუნქტებში.

შემოსავლების ცვალებადობის ახსნა მოცემულია ბასს 10-ის ბ55-ბ57 პუნქტებში.

სტრუქტურიზებული საწარმო

საწარმო, რომელიც ორგანიზებული იყო იმგვარად, რომ ხმის უფლებები, ან სხვა ანალოგიური უფლებები გადამწყვეტ ფაქტორს არ წარმოადგენს იმის დადგენაში, ვინ აკონტროლებს საწარმოს, მაგალითად, როდესაც ხმის უფლებები დაკავშირებულია მხოლოდ ადმინისტრაციულ ამოცანებთან, ხოლო რელევანტური საქმიანობების მართვა ხორციელდება სახელშეკრულებო შეთანხმების საფუძველზე.

სტრუქტურიზებული საწარმოების შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ბ22-ბ24 პუნქტებში.

შემდეგი ტერმინების განმარტება მოცემულია ბასს 27-ში (2011 წლის შეცვლილი ვერსია), ბასს 28-ის (2011 წლის შეცვლილი ვერსია), ფასს 10-სა და ფასს 11-ში – „*ერთობლივი საქმიანობა*“ და წინამდებარე სტანდარტშიც იმავე მნიშვნელობით გამოიყენება, რაც მინიჭებული აქვთ ზემოხსენებულ ფასს სტანდარტებში:

- მეკავშირე საწარმო;
- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება;
- საწარმოს კონტროლი;
- წილობრივი მეთოდი;
- ჯგუფი;
- საინვესტიციო საწარმო;
- ერთობლივი საქმიანობა;
- ერთობლივი კონტროლი;
- ერთობლივი ოპერაცია;
- ერთობლივი საწარმო;
- არამაკონტროლებელი წილი;
- მშობელი საწარმო;
- დამცავი უფლებები;
- რელევანტური საქმიანობები;
- ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება;
- განცალკევებული სუბიექტი;
- მნიშვნელოვანი გავლენა;
- შვილობილი საწარმო.

 © IFRS Foundation

დანართი B

მითითებები გამოყენებაზე

ეს დანართი წინამდებარე ფასს სტანდარტის განუყოფელი ნაწილია. მასში აღწერილია 1-31 პუნქტების გამოყენება და ისეთივე ძალა აქვს, როგორც წინამდებარე სტანდარტის სხვა ნაწილებს.

B1. ამ დანართში განხილული მაგალითები ასახავს ჰიპოთეზურ სიტუაციებს. მართალია, ქვემოთ განხილული მაგალითების ზოგიერთი ასპექტი შეიძლება რეალურ სიტუაციებშიც შეგვხვდეს, მაგრამ ფასს 12-ის გამოყენებისას აუცილებელია, რომ საწარმომ შეაფასოს ყველა შესაფერისი ფაქტი და თითოეული კონკრეტული ფაქტობრივი სიტუაციის გარემოებები.

აგრეგირება (მე-4 პუნქტი)

B2. საწარმომ თავისი გარემოებების გათვალისწინებით უნდა გადაწყვიტოს, რამდენად დაწვრილებითი ინფორმაცია მიაწოდოს მომხმარებლებს იმისათვის, რომ დააკმაყოფილოს მათი საინფორმაციო მოთხოვნილებები, ასევე რამდენად დიდი მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნების სხვადასხვა ასპექტს და როგორ უნდა მოახდინოს ამ ინფორმაციის აგრეგირება. აუცილებელია წონასწორობის მიღწევა, რათა, ერთი მხრივ, ფინანსური ანგარიშგება არ იყოს გადატვირთული ზედმეტი დეტალებით, რომლებიც შეიძლება არ დაეხმაროს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს და, მეორე მხრივ, ინფორმაცია არ გახდეს ბუნდოვანი, გადაჭარბებული აგრეგირების გამო.

B3. საწარმოს უფლება აქვს აგრეგირებული სახით წარმოადგინოს წინამდებარე სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმაცია ანალოგიურ საწარმოებში მონაწილეობის შესახებ, თუ ინფორმაციის აგრეგირება შეესაბამება ინფორმაციის გამჟღავნების მიზანს და B4 პუნქტის მოთხოვნას, ამავე დროს ბუნდოვანს არ გახდის წარმოდგენილ ინფორმაციას. საწარმომ უნდა განმარტოს, როგორ გააერთიანა ანალოგიურ საწარმოებში თავისი მონაწილეობის წილები.

B4. საწარმომ ცალ-ცალკე უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია თავისი მონაწილეობის შესახებ:

ა) შვილობილ საწარმოებში;

ბ) ერთობლივ საწარმოებში;

გ) ერთობლივ ოპერაციებში;

დ) მეკავშირე საწარმოებში; და

ე) არაკონსოლიდირებულ სტრუქტურიზებულ საწარმოებში.

B5. იმის დასადგენად, შესაძლებელია თუ არა ინფორმაციის აგრეგირება, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაცია, რომელიც ეხება თითოეული საწარმოსთვის დამახასიათებელ განსხვავებულ რისკსა და შემოსავალს, რომლის აგრეგირების საკითხსაც იხილავს, ასევე თითოეული ამგვარი საწარმოს მნიშვნელობა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის. საწარმომ მოთხოვნილი ინფორმაცია იმგვარად უნდა წარმოადგინოს, რომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის ნათელი გახდეს ზემოაღნიშნულ სხვა საწარმოებში მისი მონაწილეობის ხასიათი და ხარისხი.

B6. ქვემოთ განხილულია ინფორმაციის აგრეგირების მისაღები დონეების მაგალითები B4 პუნქტში აღწერილი საწარმოთა კატეგორიების ფარგლებში:

ა) საქმიანობის ხასიათი (მაგალითად, კვლევითი საქმიანობით დაკავებული საწარმო, საწარმო, რომელიც დაკავებულია განახლებადი საკრედიტო ბარათების სეკურიტიზაციით);

ბ) დარგობრივი კლასიფიკაცია;

გ) გეოგრაფია (მაგალითად, ქვეყანა, ან რეგიონი).

სხვა საწარმოებში მონაწილეობა

B7. სხვა საწარმოში მონაწილეობა გულისხმობს ნებისმიერ საქმიანობას, ხელშეკრულებით იქნება ეს გათვალისწინებული, თუ არა, რომელიც ანაგარიშვალდებულ საწარმოს დაქვემდებარებულს ხდის რისკებზე, რომლებიც დაკავშირებულია სხვა საწარმოს საქმიანობიდან ცვალებადი ხასიათის შემოსავლის მიღებასთან. ანგარიშვალდებულ საწარმოს სხვა საწარმოს მიზნისა და სტრუქტურის განხილვა შეიძლება დაეხმაროს იმის დადგენაში, მონაწილეობს თუ არა ის სხვა საწარმოში და, მაშასადამე, ვალდებულია თუ არა წარმოადგინოს წინამდებარე სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმაცია. ამგვარი შეფასებისას საწარმომ უნდა განიხილოს რისკები, რომელთა საკუთარ თავზე აღება ინვესტირებული საწარმოს მხრიდან გათვალისწინებული იყო ინვესტირებული საწარმოს სტრუქტურის ორგანიზების დროს და ასევე რისკები, რომელთა გადაცემაც გათვალისწინებული იყო ანგარიშვალდებულ საწარმოსა და სხვა მხარეებზე.

B8. ანგარიშვალდებული საწარმო, როგორც წესი, ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია სხვა საწარმოს საქმიანობიდან ცვალებადი ხასიათის შემოსავლის მიღებასთან იმის გამო, რომ ფინანსური ინსტრუმენტების (როგორიცაა, სხვა საწარმოს მიერ გამოშვებული წილობრივი, ან სავალო ინსტრუმენტების) მფლობელია, ან სხვა ისეთი ფორმით მონაწილეობს სხვა საწარმოში, რომელიც ანეიტრალებს ზემოაღნიშნულ ცვალებადობას. მაგალითად, დავუშვათ, რომ სტრუქტურიზებული საწარმო არის სესხების პორტფელის მფლობელი. სტრუქტურიზებული საწარმო სხვა საწარმოდან (ანგარიშვალდებული საწარმოდან) მოიპოვებს კრედიტის გადაუხდელობის სვოპის ხელშეკრულებას, რათა თავი დაიცვას სესხების ძირითადი თანხებისა და პროცენტების გადაუხდელობისგან. ამ შემთხვევაში, ანგარიშვალდებული საწარმოს მონაწილეობა ისეთი ტიპისაა, რომ მას დაქვემდებარებულს ხდის რისკებზე, რომლებიც დაკავშირებულია სტრუქტურიზებული საწარმოს საქმიანობიდან ცვალებადი ხასიათის შემოსავლის მიღებასთან, რადგან კრედიტის გადაუხდელობის სვოპის შეთანხმება ანეიტრალებს სტრუქტურიზებული საწარმოს შემოსავლების ცვალებადობას.

B9. ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტი განკუთვნილია რისკის გადასაცემად ანგარიშვალდებული საწარმოდან სხვა საწარმოზე. ამგვარი ფინანსური ინსტრუმენტები ცვალებად შემოსავლებს წარმოქმნის სხვა საწარმოსთვის, თუმცა, როგორც წესი, ანგარიშვალდებულ საწარმოს დაქვემდებარებულს არ ხდის სხვა საწარმოს საქმიანობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებულ რისკზე. მაგალითად, დავუშვათ, სტრუქტურიზებული საწარმო დაფუძნებულია საინვესტიციო შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიზნით იმ ინვესტორებისთვის, რომლებსაც სურთ, თავის თავზე აიღონ Z საწარმოს საკრედიტო რისკი (Z საწარმო არ არის დაკავშირებული მხარე ამ საქმიანობაში მონაწილე არც ერთი მხარისთვის). სტრუქტურიზებული საწარმო დაფინანსებას იღებს ამ ინვესტორებისთვის სპეციალური სავალო ფასიანი ქაღალდების (ნოტების) გამოშვებით, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს საკრედიტო რისკთან (საკრედიტო ობლიგაცია) და შემოსულობას იყენებს ურისკო ფინანსური აქტივების პორტფელში ინვესტირებისთვის. სტრუქტურიზებული საწარმო თავის თავზე იღებს Z საწარმოს საკრედიტო რისკს, კრედიტის გადაუხდელობის სვოპის ხელშეკრულების დადებით სვოპის კონტრაჰენტთან. კრედიტის გადაუხდელობის სვოპის ხელშეკრულებით Z საწარმოს საკრედიტო რისკი გადადის სტრუქტურიზებულ საწარმოზე იმის სანაცვლოდ, რომ სვოპის ხელშეკრულების კონტრაჰენტი უხდის საზღაურს. სტრუქტურიზებული საწარმოს ინვესტორები იღებენ მაღალ შემოსავალს, რომელიც ასახავს როგორც სტრუქტურიზებული საწარმოს შემოსავალს, რომელსაც იღებს თავისი აქტივების პორტფელიდან, ასევე კრედიტის გადაუხდელობის სვოპის ხელშეკრულებიდან მიღებულ საზღაურს. სვოპის კონტრაჰენტს არ გააჩნია სტრუქტურიზებულ საწარმოში მონაწილეობის წილი, რომელიც მას დაქვემდებარებულს გახდის სტრუქტურიზებული საწარმოს საქმიანობიდან ცვალებადი ხასიათის შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებულ რისკზე, რადგან კრედიტის გადაუხდელობის სვოპის ხელშეკრულების თანახმად, შემოსავლების ცვალებადობა, განეიტრალების ნაცვლად, სტრუქტურიზებულ საწარმოს გადაეცემა.

 © IFRS Foundation

კრებსითი ფინანსური ინფორმაცია შვილობილი საწარმოების, ერთობლივი საწარმოებისა და მეკავშირე საწარმოების შესახებ (მე-12 და 21-ე პუნქტები)

B10. თითოეული შვილობილი საწარმოსთვის, რომელსაც გააჩნია ანგარიშვალდებული საწარმოსთვის არსებითი არამაკონტროლებელი წილი, საწარმომ უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) არამაკონტროლებელი წილისთვის გადახდილი დივიდენდები;

ბ) კრებსითი ფინანსური ინფორმაცია შვილობილი საწარმოს აქტივების, ვალდებულებების, მოგების ან ზარალის და ფულადი ნაკადების შესახებ, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, წარმოდგენა შეიქმნან, რა სახის მონაწილეობის წილი გააჩნია არამაკონტროლებელ წილს ჯგუფის საქმიანობასა და ფულად ნაკადებში. სხვასთან ერთად, ეს ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს, მაგალითად, მოკლევადიან აქტივებს, გრძელვადიან აქტივებს, მოკლევადიან ვალდებულებებს, გრძელვადიან ვალდებულებებს, ამონაგებს, მოგებას ან ზარალს და მთლიან სრულ შემოსავალს.

B11. B10(ბ) ქვეპუნქტით მოთხოვნილი კრებსითი ფინანსური ინფორმაცია უნდა მოიცავდეს თანხებს, რომლებიც არსებობს ჯგუფის კომპანიებს შორის ურთიერთჩათვლების განხორციელებამდე.

B12. თითოეული ერთობლივი და მეკავშირე საწარმოსთვის, რომელიც არსებითია ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, საწარმომ უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) ერთობლივი ან მეკავშირე საწარმოდან მიღებული დივიდენდები;

ბ) კრებსითი ფინანსური ინფორმაცია ერთობლივი, ან მეკავშირე საწარმოების შესახებ (იხ. B14 და B15 პუნქტები), მათ შორის ქვემოთ ჩამოთვლილი, თუმცა შეზღუდული არ არის მარტო ამით:

(i) მოკლევადიანი აქტივები;

(ii) გრძელვადიანი აქტივები;

(iii) მოკლევადიანი ვალდებულებები;

(iv) გრძელვადიანი ვალდებულებები;

(v) ამონაგები;

(vi) მოგება ან ზარალი განგრძობითი ოპერაციებიდან;

(vii) დაბეგვრის შემდგომი მოგება ან ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან;

(viii) სხვა სრული შემოსავალი;

(ix) მთლიანი სრული შემოსავალი.

B13. გარდა B12 პუნქტით მოთხოვნილი კრებსითი ფინანსური ინფორმაციისა, საწარმომ თითოეული ერთობლივი საწარმოსთვის, რომელიც არსებითია ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, უნდა წარმოადგინოს შემდეგი თანხები:

ა) B12(ბ) (i) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მუხლში შესული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები;

ბ) მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები (სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისა და ანარიცხების გამოკლებით), რომელიც შესულია B12(ბ)(iii) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მუხლში;

გ) გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები (სავაჭრო და სხვა დავალიანებისა და ანარიცხების გამოკლებით), რომელიც შესულია B12(ბ)(iv) ქვეპუნქტით გათვალისწინებული მუხლში;

დ) ცვეთა და ამორტიზაცია;

ე) საპროცენტო შემოსავალი;

ვ) საპროცენტო ხარჯი;

ზ) მოგების გადასახადის ხარჯი, ან შემოსავალი.

B14. B12 და B13 პუნქტების შესაბამისად მომზადებული კრებსითი ფინანსური ინფორმაცია უნდა მოიცავდეს თანხებს, რომლებიც ასახულია ერთობლივი საწარმოს, ან მეკავშირე საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში და არა საწარმოს წილებს ამ თანხებში. თუ საწარმო თავის წილს ერთობლივ საწარმოში, ან მეკავშირე საწარმოში აღრიცხავს წილობრივი მეთოდით, მაშინ:

ა) თანხები, რომლებიც ასახულია ერთობლივი საწარმოს, ან მეკავშირე საწარმოს ფასს სტანდარტების შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, უნდა დაკორექტირდეს, რათა აისახოს საწარმოს მიერ წილობრივი მეთოდის გამოყენებისას შეტანილი კორექტირებები, როგორიცაა, მაგალითად სამართლიანი ღირებულების კორექტირებები, რომლებიც საწარმომ განახორციელა შეძენის მომენტში და კორექტირებები, რომლებიც ხორციელდება განსხვავებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობაში მოსაყვანად;

ბ) საწარმომ უნდა აჩვენოს წარმოდგენილი კრებსითი ფინანსური ინფორმაციის შეჯერება ერთობლივ საწარმოში, ან მეკავშირე საწარმოში თავისი მონაწილეობის წილის საბალანსო ღირებულებასთან.

ბ15. საწარმოს უფლება აქვს, ბ12 და ბ13 პუნქტებით გათვალისწინებული კრებსითი ფინანსური ინფორმაცია წარმოადგინოს ერთობლივი, ან მეკავშირე საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, იმ შემთხვევაში, თუ:

ა) საწარმო ერთობლივ, ან მეკავშირე საწარმოში თავის წილს აფასებს სამართლიანი ღირებულებით ბასს 28-ის (2011 წლის შეცვლილი ვერსია) შესაბამისად; და

ბ) ერთობლივი, ან მეკავშირე საწარმო არ ამზადებს ფასს სტანდარტების შესაბამის ფინანსურ ანგარიშგებას და ზემოაღნიშნული ინფორმაციის მომზადება ფასს სტანდარტების შესაბამისად შეუძლებელია, ან მიზანშეუწონელ დანახარჯებთან არის დაკავშირებული.

ასეთ შემთხვევაში, საწარმომ უნდა განმარტოს, რის საფუძველზე მომზადდა კრებსითი ფინანსური ინფორმაცია.

ბ16. საწარმომ აგრეგირებულად უნდა აჩვენოს ყველა ინდივიდუალურად არაარსებით ერთობლივ საწარმოში, ან მეკავშირე საწარმოში ფლობილი წილების საბალანსო ღირებულება, რომლებიც აისახება წილობრივი მეთოდით. გარდა ამისა, საწარმომ ცალ-ცალკე უნდა აჩვენოს თავისი წილების აგრეგირებული თანხა ამ ერთობლივი საწარმოების, ან მეკავშირე საწარმოების:

ა) განგრძობითი ოპერაციებიდან მიღებულ მოგებაში, ან ზარალში;

ბ) შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებულ დაბეგვრის შემდგომ მოგებაში, ან ზარალში;

გ) სხვა სრულ შემოსავალში;

დ) მთლიან სრულ შემოსავალში.

საწარმო ცალ-ცალკე წარმოადგენს ინფორმაციას ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების შესახებ.

ბ17. როდესაც საწარმოს წილი შვილობილ საწარმოში, ერთობლივ საწარმოში, ან მეკავშირე საწარმოში (ან ერთობლივ, ან მეკავშირე საწარმოში მისი წილის ნაწილი) კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად გამიზნული (ან ჩართულია გამსვლელ ჯგუფში, რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად გამიზნული) ფასს 5-ის შესაბამისად, საწარმო ვალდებული არ არის, კრებსითი ფინანსური ინფორმაცია წარმოადგინოს ამ შვილობილი საწარმოს, ერთობლივი საწარმოს, ან მეკავშირე საწარმოს შესახებ ბ10-ბ16 პუნქტების შესაბამისად.

ერთობლივ საწარმოებთან დაკავშირებული ვალდებულებები (პუნქტი 23(ა))

ბ18. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია ვალდებულებების მთლიანი თანხის შესახებ, რომელიც აღებული აქვს ერთობლივ საწარმოებში მონაწილეობასთან დაკავშირებით, მაგრამ აღიარებული არ არის საანგარიშგებო თარიღისთვის (მათ შორის, თავისი წილი იმ ვალდებულებებში, რომლებიც აღებული აქვს სხვა ინვესტორებთან ერთად, რომლებსაც გააჩნიათ ერთობლივი კონტროლის უფლება ერთობლივ საწარმოზე). საწარმოს ვალდებულებად მიიჩნევა ნებისმიერი ვალდებულება, რომელიც მომავალში გამოიწვევს ფულადი სახსრების, ან სხვა რესურსების გასვლას საწარმოდან.

ბ19. აუღიარებელ ვალდებულებებს, რომლებიც მომავალში გამოიწვევს ფულადი სახსრების, ან სხვა რესურსების გასვლას საწარმოდან, განეკუთვნება:

ა) ფულადი სახსრების, ან სხვა რესურსების შეტანასთან დაკავშირებული აუღიარებელი ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშვა, მაგალითად:

 © IFRS Foundation

(i) ერთობლივი საწარმოს დაფუძნების, ან შეძენის ხელშეკრულების შედეგად (როდესაც, მაგალითად საწარმოს სახსრების შეტანა მოეთხოვება გარკვეულ პერიოდში);

(ii) კაპიტალტევადი პროექტების შედეგად, რომელიც განახორციელა ერთობლივმა საწარმომ;

(iii) შესყიდვასთან დაკავშირებული უპირობო ვალდებულებები, მათ შორის, იმ მოწყობილობების, მარაგის, ან მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებული ვალდებულებები, რომლის შესყიდვა საწარმოს ევალება ერთობლივი საწარმოსგან, ან მისი სახელით;

(iv) აუღიარებელი ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია ერთობლივი საწარ-მოსთვის სესხების მიცემასთან, ან სხვა სახის ფინანსური დახმარების აღმოჩენასთან;

(v) აუღიარებელი ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია რესურსების, მაგალი-თად აქტივების, ან მომსახურების შეტანასთან ერთობლივ საწარმოში;

(vi) ერთობლივ საწარმოსთან დაკავშირებული სხვა აუღიარებელი ვალდებულებები, რომლებიც გაუქმებას არ ექვემდებარება.

ბ) აუღიარებელი ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია ერთობლივ საწარმოში სხვა მხარის მიერ ფლობილი წილის, ან მისი ნაწილის შეძენასთან იმ შემთხვევაში, თუ მომავალში გარკვეული მოვლენები მოხდება, ან არ მოხდება.

ბ20. ბ18 და ბ19 პუნქტებში მოცემული მოთხოვნები და მაგალითები წარმოადგენს ზოგიერთი ტიპის ინფორმაციის ნიმუშებს, რომელთა გამჟღავნებაც მოითხოვება ბასს 24-ის – „*დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები*“ – მე-18 პუნქტით.

მონაწილეობა არაკონსოლიდირებულ სტრუქტურიზებულ საწარმოებში (24-31-ე პუნქტები)

სტრუქტურიზებული საწარმოები

ბ21. სტრუქტურიზებულია საწარმო, რომელიც იმგვარად იყო ორგანიზებული, რომ ხმის უფლებები, ან სხვა ანალოგიური უფლებები გადამწყვეტ ფაქტორს არ წარმოადგენს იმის დადგენაში, ვინ აკონტროლებს საწარმოს, მაგალითად, როდესაც ხმის უფლებები დაკავშირებულია მხოლოდ ადმინისტრაციულ ამოცანებთან, ხოლო რელევანტური საქმიანობების მართვა ხორციელდება სახელშეკრულებო შეთანხმების საფუძველზე.

ბ22. სტრუქტურიზებულ საწარმოს ხშირად ახასიათებს ზოგიერთი ან ყველა შემდეგი თავისებურება თუ ნიშანი:

ა) შეზღუდული საქმიანობა;

ბ) სპეციალური და ზუსტად განსაზღვრული მიზანი, მაგალითად საგადასახადო დაბეგვრის თვალსაზრისით ეფექტური იჯარის განხორციელება, კვლევისა და განვითარების საქმიანობის განხორციელება, საწარმოსთვის კაპიტალის წყაროს, ან დაფინანსების უზრუნველყოფა, ან ინვესტორების უზრუნველყოფა საინვესტიციო შესაძლებლობებით, სტრუქტურიზებული საწარმოს აქტივებთან დაკავშირებული რისკებისა და სარგებლის გადაცემით ინვესტორებზე;

გ) კაპიტალის უკმარისობა, რაც სტრუქტურიზებულ საწარმოს თავისი საქმიანობის დაფი-ნანსების საშუალებას არ აძლევს სუბორდინირებული ფინანსური დახმარების გარეშე;

დ) დაფინანსება ინვესტორებთან დადებული მრავალრიცხოვანი ხელშეკრულებებით ურთიერთდაკავშირებული ფინანსური ინსტრუმენტების ფორმით, რომლებიც წარმოქმნიან საკრედიტო ან სხვა სახის რისკების დაჯგუფებებს (ტრანშეებს).

ბ23. სტრუქტურიზებულ საწარმოდ, სხვასთან ერთად, მიიჩნევა შემდეგი საწარმოები:

ა) სეკურიტიზაციით დაკავებული საწარმოები;

ბ) აქტივებით უზრუნველყოფილი დაფინანსება;

გ) ზოგიერთი საინვესტიციო ფონდი.

B24. საწარმო, რომელიც კონტროლდება ხმის უფლებების მეშვეობით, თავისთავად არ წარმოადგენს სტრუქტურიზებულ საწარმოს მარტო იმიტომ, რომ, მაგალითად, დაფინანსებას იღებს მესამე მხარეებისგან რესტრუქტურიზაციის შემდეგ.

არაკონსოლიდირებულ სტრუქტურიზებულ საწარმოებში მონაწილეობასთან დაკავშირებული რისკების ხასიათი (პუნქტები 29-31-ე)

B25. 29-31 პუნქტებით მოთხოვნილი ინფორმაციის გარდა, საწარმომ უნდა წარმოადგინოს დამატებითი ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია 24(ბ) ქვეპუნქტში ჩამოყალიბებული ინფორმაციის გამჟღავნების მიზნის მისაღწევად.

B26. ქვემოთ განხილულია დამატებითი ინფორმაციის მაგალითები, რომელიც გარემოებებისდა მიხედვით, შეიძლება შესაფერისი იყოს იმ რისკების შესაფასებლად, რომლებსაც ანაგარიშ-ვალდებული საწარმო ექვემდებარება არაკონსოლიდირებულ სტრუქტურიზებულ საწარმოში მონაწილეობის გამო:

ა) შეთანხმების პირობები, რომლის თანახმად საწარმოს შეიძლება დაეკისროს ვალდებულება, ფინანსური დახმარება აღმოუჩინოს არაკონსოლიდირებულ სტრუქტურიზებულ საწარმოს (მაგალითად, ლიკვიდურობის შეთანხმებები, ან საკრედიტო რეიტინგის ცვლილებასთან დაკავშირებული შემზღუდავი პირობები, რომლებიც დაკავშირებულია სტრუქტუ-რიზებული საწარმოს აქტივების შესყიდვის ვალდებულებებთან, ან ფინანსური დახმარების აღმოჩენასთან), მოიცავს:

(i) იმ მოვლენების, ან გარემოებების აღწერას, რომლებსაც შეუძლია ანგარიშვალდებული საწარმოს ზარალის წარმოქმნა;

(ii) ინფორმაციას იმის შესახებ, არსებობს თუ არა ისეთი პირობები, რომლებიც შეზღუდავს ამ ვალდებულებას;

(iii) არსებობს თუ არა სხვა მხარეები, რომლებიც ფინანსურ დახმარებას უწევენ სტრუქტურიზებულ საწარმოს და თუ ასეა, მაშინ რა კატეგორიისაა ანგარიშ-ვალდებული საწარმოს ვალდებულებები სხვა მხარეთა ვალდებულებებთან მიმართებით.

ბ) ზარალი, რომელიც საწარმომ მიიღო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში არაკონ-სოლიდირებულ სტრუქტურიზებულ საწარმოში მონაწილეობის გამო;

გ) შემოსავლების სახეები, რომელიც საწარმომ მიიღო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში არაკონსოლიდირებულ სტრუქტურიზებულ საწარმოში მონაწილეობიდან;

დ) ვალდებულია თუ არა საწარმო, არაკონსოლიდირებული სტრუქტურიზებული საწარმოს ზარალი აანაზღაუროს სხვა მხარეებზე უფრო ადრე, ამგვარი ზარალის მაქსიმალური ზღვარი საწარმოსთვის და (თუ შესაფერისია) სხვა მხარეთა მიერ ასანაზღაურებელი პოტენციური ზარალის კლასი და თანხები, რომელთა წილები უფრო დაბალი კლასისაა, ვიდრე საწარმოს წილი არაკონსოლიდირებულ სტრუქტურიზებულ საწარმოში;

ე) ინფორმაცია მესამე მხარეებთან დადებული ლიკვიდურობის შეთანხმებების, გარანტიების, ან სხვა სახელშეკრულებო ვალდებულებების შესახებ, რომლებსაც შეუძლია გავლენის მოხდენა არაკონსოლიდირებულ სტრუქტურიზებულ საწარმოებში საწარმოს კუთვნილი წილების სამართლიან ღირებულებაზე, ან არაკონსოლიდირებულ სტრუქტურიზებულ საწარმოებში საწარმოს მონაწილეობასთან დაკავშირებულ რისკზე;

ვ) სირთულეები, რომლებიც არაკონსოლიდირებულმა სტრუქტურიზებულმა საწარმომ განი-ცადა თავისი საქმიანობის დაფინანსებისას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში;

ზ) არაკონსოლიდირებული სტრუქტურიზებული საწარმოს დაფინანსებასთან დაკავშირებით – დაფინანსების ფორმები (მაგალითად, მოკლევადიანი კომერციული დოკუმენტები, ან საშუალოვადიანი ნოტები) და მათი საშუალო შეწონილი ვადიანობა. ეს ინფორმაცია

 © IFRS Foundation

შეიძლება მოიცავდეს არაკონსოლიდირებული სტრუქტურიზებული საწარმოს აქტივებისა და მისი დაფინანსების ვადების ანალიზს, თუ სტრუქტურიზებულ საწარმოს გააჩნია ხანგრძლივი ვადის მქონე აქტივები, რომლებიც ფინანსდება უფრო მოკლევადიანი ფინანსების ხარჯზე.

დანართი გ

ძალაში შესვლის თარიღი და სტანდარტზე გადასვლა

ეს დანართი წინამდებარე ფასს სტანდარტის განუყოფელი ნაწილია და ისეთივე ძალა აქვს, როგორც სტანდარტის სხვა ნაწილებს.

ძალაში შესვლის თარიღი და სტანდარტზე გადასვლა

გ1. საწარმომ წინამდებარე ფასს სტანდარტი უნდა გამოიყენოს 2013 წლის 1 იანვარს, ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება.

გ1ა. 2012 წლის ივნისში გამოცემულმა დოკუმენტმა – „*კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ერთობლივი საქმიანობა და განმარტებითი შენიშვნები სხვა საწარმოებში მონაწილეობის შესახებ: მითითებები აღრიცხვის ახალ მეთოდებზე გადასვლის შესახებ*“ (ფასს 10-ის, ფასს 11-ისა და ფასს 12-ის შესწორებები) გამოიწვია გ2ა-გ2ბ პუნქტების დამატება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2013 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. თუ საწარმო ფასს 12-ს უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, იმავე პერიოდისთვის უნდა გამოიყენოს ზემოაღნიშნული ცვლილებებიც.

გ1ბ. 2012 წლის ოქტომბერში გამოცემულმა დოკუმენტმა – „*საინვესტიციო საწარმოები*“ – (ფასს 10-ის, ფასს 12-ისა და ბასს 27-ის შესწორებები) გამოიწვია მე-2 პუნქტისა და „ა“ დანართის შეცვლა და 9ა-9ბ, 19ა-19ზ, 21ა და25ა პუნქტების დამატება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2014 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ზემოაღნიშნულ ცვლილებებს უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს ეს ფაქტი და იმავდროულად გამოიყენოს დოკუმენტში – „*საინვესტიციო საწარმოები*“ – გათვალისწინებული ყველა ცვლილება.

გ1გ. 2014 წლის დეკემბერში გამოცემულმა დოკუმენტმა – „*საინვესტიციო საწარმოები: კონსოლიდაციიდან განთავისუფლების გამოყენება*“ – (ფასს 10-ის, ფასს 12-ისა და ბასს 28-ის შესწორებები) გამოიწვია მე-6 პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილება უნდა გამოიყენოს 2016 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ამ ცვლილებას უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს ეს ფაქტი.

გ1დ. 2016 წლის სექტემბერში გამოცემულმა დოკუმენტმა - *„ფასს სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება, 2014-2016 წლების ციკლი“* - გამოიწვია 5ა პუნქტის დამატება და ბ17 პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილება უნდა გამოიყენოს რეტროსპექტულად ბასს 8-ის - *„საღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები საღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“* - შესაბამისად, 2017 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

გ2. საწარმოს რეკომენდაცია ეძლევა, წინამდებარე სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგინოს ვადაზე ადრე, 2013 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდების დაწყებამდე. წინამდებარე სტანდარტით მოთხოვნილი რომელიმე ინფორმაციის გამჟღავნება საწარმოს არ ავალდებულებს, დაიცვას ამ სტანდარტის ყველა მოთხოვნა, ან ვადაზე ადრე გამოიყენოს ფასს 10, ფასს 11, ბასს 27 (2011 წლის შეცვლილი ვერსია) და ბასს 28 (2011 წლის შეცვლილი ვერსია).

გ2ა. საწარმოს არ მოეთხოვება ფასს 12-ით გათვალისწინებული მოთხოვნების გამოყენება რომელიმე წარდგენილი პერიოდისთვის, რომელიც იწყება იმ წლიურ პერიოდზე ადრე, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს პირველ წლიურ პერიოდს, რომლისთვისაც გამოიყენება ფასს 12.

გ2ბ. წინამდებარე სტანდარტის 24-31 პუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნები, რომლებიც ეხება ინფორმაციის გაამჟღავნოს და ბ21-ბ26 პუნქტებში მოცემული შესაბამისი მითითებები საჭირო არ

 © IFRS Foundation

არის, საწარმომ გამოიყენოს რომელიმე წარდგენილი პერიოდისთვის, რომელიც იწყება პირველ წლიურ პერიოდზე ადრე, რომლისთვისაც გამოყენება ფასს 12.

მინიშნება ფასს 9-ის გამოყენებაზე

B3. თუ საწარმო წინამდებარე ფასს სტანდარტს იყენებს, მაგრამ ჯერ არ იყენებს ფასს 9-ს, მან ბასს 39 – *„ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“* – უნდა იგულისხმოს ყველგან, სადაც მითითებულია ფასს 9-ის გამოყენება.